<u>პროექტი</u>

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2022 წლის ქ. თბილისი

„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2020, 340020000.10.003.021747) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს 2^9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^9. მარცვლეული კულტურების ყველა სახის „საბაზისო თესლის“ და „სერტიფიცირებული თესლის“ ტარაზე (შეფუთვაზე):

ა) ამ მუხლის 2^2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად, სერტიფიცირების ორგანოს ზედამხედველობით შეიძლება დაიბეჭდოს ან დაიშტამპოს თითოეულ ტარის (შეფუთვის) ოფიციალურად მინიჭეული ინდივიდუალური სერიული ნომერი, რომელიც არ იშლება;

ბ) ნაბეჭდის ან შტამპის ფორმა და ფერი უნდა იყოს ეტიკეტის შესაბამისი და არ უნდა იშლებოდეს;

გ) მწარმოებელმა/რეალიზატორმა სერტიფიცირების ორგანოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გაცემული ტარის (შეფუთვების) რაოდენობების შესახებ, მათი სერიული ნომრების ჩათვლით ყოველი პარტიისათვის;

დ) სერტიფიცირების ორგანომ უნდა აწარმოოს ჩანაწერები ამგვარად მარკირებულ თესლის თითოეულ პარტიაში ტარის (შეფუთვის) რაოდენობისა და მასში მოთავსებული თესლის შესახებ.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**